



გილოცავთ გიორგიძებს!

საქრალური დამოკიდებულება
საკუთარი
მინისა და
ნარსული-
სადმი ...



გვ2.
პროექტი
ევროპული სტან-
დარტის ფილტრა-
ბის და ემისიბ-
ის მუდმივი მონ-
იტორინგის
აპარატურის და-
მონტაჟებასა
საშემაშენებელ-
თაგანია.
რომლის მეშვე-
ობით მშენებელ-
თაგანია და
გამონაბოლქვის
რამდენიმე გა-
კონსტრუქცია.

**ქარხნის მოდარნიზაციის
პროექტი
დასასრულს უახლოვდება**

**2018 წლის მაღალ-
ბიუჯეტური ინიციატივების
პროექტები**

**წინარების სა-
სოფლო გზის
სამუშაოები**

გვ ოქროსფერი შემოდგომა
2018

**სოფელ ქვემო
გომის გზის
რეაბილიტაცია**

გვ „წარსული დრო
შეადრება“



დოქუმენტური პროზა **გვ8.**



ქართლ-ქახეთი **გვ5.**

მინაწერებელი
ქნის
სეიძა

გვ7.




წარსული
მიწა-
წინაშე

გვ6.



გამოსათხოვარი
„განთავსება“
ძალიან
გაუმართლოს

გვ9.



სამოყვარულო ღიბის
ჩემიონები კალათ-
ბურთში

გვ4.

„წარსული რეაბილიტაციით
არ იზიარებს.“



გვ7.
სამოყვარულო ღიბის
ჩემიონები კალათ-
ბურთში

გვ4.
ტრენინგი სივრცით -
ტირტირული
დაგეგმვის შესახებ



გვ4.

2018 წლის მაკალბიუჯიანი ინფრასტრუქტურული პროექტები



ვნელობის გზის მე-6 კილომეტრიდან, სოფელ ქვემო ხანდაკში მემორიალამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები. ღირებულება 1 408 041 ლარი.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში 4 500 გრძივ მეტრზე მიმდინარეობს მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები. გზის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია 3 532 000 ლარი.

კასპის მუნიცი-



ინოვაციების რეგიონალური ცენტრის მშენებლობა. პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილია 2 156 093 ლარი.

ქალაქ კასპში სრული რეაბილიტაცია ჩატარდება სააკაძის ქუჩის მონაკვეთის საფეხმავლოებს (საკოლმურნეო ბაზრიდან საკონსერვო

უშაოები - გამრიცხველიანება მიმდინარეობს სოფლებში: მეტეხი, ქვემო გომი, ნიაბი, ბორტა, ახალქალაქი, ზემო ჩოჩეთი.

რეაბილიტაცია ჩატარდა ქვემო ხანდაკი - ნიჩბისის მექანიკური აწევის სარწყავ სისტემას.

სამუშაოების ღირე-

*დასასრული.

დაიხარჯება.

ქალაქ კასპში ე.წ. "ვარჯაანის" დასახლებაში 737 გრძივ მეტრზე მიმდინარეობს ჩოლოყაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია/მოასფალტება. ღირებულება 510 905 ლარი.

ქალაქ კასპში გრიშაშვილის ქუჩის გზის მონაკვეთზე ე.წ. "შუხების გზის" 500 გრძივ მეტრზე მიმდინარეობს ასფალტბეტონის საფარის მოწყობა. ღირებულება 293 989 ლარი.

კასპის მუნიცი-



პალიტეტში, სოფელ წინარეხში მოეწყობა სასმელი წყლის სთავე ნაგებობა და მაგისტრალი. ღირებულება 438 338 ლარი.

შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მეტეხი - ქვემო გომი - ნათლისმცემლის ეკლესიის საავტომობილო გზის 5.5 კილომეტრი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულია ტენდერი - მშენებლის შერჩევისას დაიწყება სამუშაოები.

პროექტის სავარაუდო ღირებულება 3 427 848 ლარია.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა კასპის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა 7 სოფელში:



პალიტეტში მიმდინარეობს გარე განათების მოწყობის სამუშაოები. ღირებულება 300 000 ლარი.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროში მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები. ღირებულება



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები. ღირებულება 36 500 ლარი.


10 988 ლარი. დაიწყო კასპის მუნიციპალიტეტში ზაპესი - მცხეთა - კავთისხევი - გორის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშ-



ბოჟამი, ხვითი, კოდისწყარო, საკორინთლო, ყარაფილა, სარიბარსა და ზადიანთკარში მოწყობილ სასმელი წყლის ჭაბურღილების დაქსელვით სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა, რომლის სავარაუდო ღირებულება 4 100 000 ლარია.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა სოფელ ალაიანის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი მოწყობის სამუშაოების ტენდერი 143 335 ლარზე.

ქალაქ კასპში დაიწყო



საწარმოზე); ღირებულება 1 500 000 ლარი.

ბულება 569 569 ლარი.

დასრულდა ზემო ხანდაკი - სასირეთი - მეტეხის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის და სადაწნეო მილსადენის მოწყობის სამუშაოები - ღირებულება 6 220 777 ლარი.

რეაბილიტაცია ჩატარდა დოესის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლებს და შიდა სამეურნეო ქსელს - სამუშაოების ღირებულება - 1 435 310 ლარი.



თავისუფლება დღეს რვენი ...



კახიხი და პიტიხე იმით ფასოზს რვენიან თუ აქხეან გამთლიანებად, ნარვენიან ახენებად, სიქუღვილს სიქუღვილად. ამ უნარის გარეშე ვიქრღვიბით კი დღეღვიბის იხორღვიან?

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველისათვის რომ გეკითხათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რისი გაკეთება შეგიძლიათ? დამრწმუნეთ, ვერ მოიძიებდით თავდადების უნაპირო ზღვარს. ქვეყნის დამოუკიდებლობა აუხდენელ ოცნებათა რიგს განეკუთვნებოდა. თუმცა, ამ ყოვლისმომცველ ოცნებაზე შენდებოდა ქვეყნის განვითარების და აღორძინების ყველა რეალობა.

იქნებ დროა, კიდევ ერთხელ გავისხენოთ რამდენმა ღირსეულმა მამულიშვილმა ჩაიტანა საფლაგში ქვეყნის დამოუკიდებლობის ვერახდენილი ნატვრა. საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, მართლაც და ყველაფრისათვის ვიყავით მზად. ეს ფიქრი ერეოდა ყველა შიშსა თუ დაბნეულობას.

ალბათ დროულაა გავისხენოთ 9 აპრილამდე არსებული რეალობა, გავისხენოთ ჩვენი თავი იმ სიმართლეში, გავისხენოთ, როგორ ვოცნებობდით დამოუკიდებლობაზე.

მაშინ რიგიანად არც კი ვფიქრობდით ჩვენს პიროვნულ ადგილზე იმ საოცნებო საქართველოში, ალბათ, მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან საუბრისას თუ გეფიქრია, რომ ნებისმიერ სამყაროში (ვიგულისხმობთ ის, როგორც გვინდა) თავისუფლება ესაა გონიერი მოქმედების უფლება.

თავისუფალი ვარ ე.ი. როგორც არ უნდა მიჭირდეს, უნდა მოვიძიო საკუთარი ქმედების ნორმა და საკუთარ თავზე უნდა ავიღო თავისუფლების სიმძიმე.

დაანონსებული არეულობის "მოლოდინით", როგორი უსიამოვნოც არ უნდა იყოს, ფიქრობ - იძენს თუ არა რაოდენობრიობა თვისებრიობის ხარისხს?



მაბულის, ენისა და სარწმუნოების ერთობლიობა ქმნიდა და ქმნიდა თანამედროვეობის დროულ სურათს. ძნელბედობისას თითოეულზე ცალკე ფიქრი ხალიჩაზე ფერის გარჩევას ჰკავს, თუ რეალობის აღქმა საჭირო - სამივე უნდა დაინახოთ სრული არსით.

შთამომავლობისათვის უმთავრესია იცოდეს, რასა აქვს მამულიშვილისათვის მუდმივი ღირებულება - გარდასულის რესტავრაციას თუ თანამედროვეობის შექმნის ეთიკურ და ხეობრივ არსს?

ქართველისათვის მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება მრავალმხრივად საინტერესო იყო. თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვა გაცილებით მეტი იყო ვიდრე ურთიერთობის საშუალება, მეტიც ვიდრე პოეტური მეტყველების იარაღი. ამიტომაც თავგამოდებით ვიბრძოდით ამ ღვთაების თავისთავადობისა და შეურყენელობისათვის.

იყო ისეთი დროც... წინაპართა ნაგებ ეკლესია-მონასტრებში "სტუმარი-მასპინძლის" უფლებით ხატები გადაგვიღებეს, გაგვითეთრეს, "გაგვიღამაზეს"...

მერე დარჩენილი ეკლესიებიდან მრავალი "საკუთარი ხელით" დავანგრეთ, მერე უმადურმა სტუმარმა ზურგში დანა ჩავკარტყა და ენის წართმევა მოგვინდოდა, სამა-

ჩაბლოც ოსეთად მოიხვეწეს, აფხაზეთი ერთმორწმუნე, მდიდარი მეზობლის სააგარაკოდ აქციეს... ორიათას წელზე მეტია ქადაგებს უფალი - "უკეთუ თვალი შენი გაცდუნებდეს, ამოიღე იგი და განაგლე შენგან, რამეთუ უმჯობესია არ გქონდეს იგი, ვიდრე მთელი სხეული შენათქვამი გვეინამო"; "გიყვარდეს მოყვასი შენი", თუ მოყვასს სურდეს პერანგი შენი, მიეცი მას სამოსელად...

გადადიოდა უფალი ჩვენს წინაპრებში სიტყვით, სიკეთით, სიყვარულით...

მაგრამ "ჰანბალი ჭიშკართან იღვა" და მისი მცდელობით ხშირად ცხოვრება დისპროპორციულ სარკეში დანახული რეალობა ხდებოდა, ისეთი, თეატრის დაბადების გარიჟრაჟზე რომ მოიგონეს ემოციის გასამაფრებლად, მხანველთა გასაოცებლად, შესაშინებლად, დასამორჩილებლად, მათზე საბატონოდ - ეს პარადოქსი კი არა, ქართველთა თანამდევნი სატყუარა გახდა.

თანამედროვე კომპიუტერული გრაფიკა მრავლისმომცველ შესაძლებლობას იძლევა - დახატულს სინამდვილედ შემოგატყუებენ (ჩვენც კარგა ხანია ვიჯერებთ!) კარგა მხოლოდ ილუზიაა, მაგრამ მაყურებლისათვის სიმართლეა, რადგან ვერ ვამჩნევთ პირობითობის ტექნიკურ ელემენტს. რა დაემართებოდა ამ სიმართლეს, ეგრანზე მაგიდასთან მომუშავე კომპიუტერის "ოსტატი" რომ დაგვენახა?

როგორც ადამიანის, ასევე ქვეყნის ცხოვრებაშიც დგება ეტაპი, როდესაც იწყება უცნაური რამ - მორალური, ხეობრივი და უბრალოდ ადამიანური ვითარებები ისეა არეული, თითქოს მოვლენათა განვითარების ლოგიკა გამჩენისათვის

აუცილებელი არ იყოს და მას უფლება ჰქონდეს ექსპლექტიზში ლოგიკად ჩათვალოს და ამის მიხედვით შეიქმნას რეალობა.

იღბალს მინდობილმა ქართველებმა ყოველთვის ვიცოდით (ან იქნებ ვგრძობდით), რომ არ არსებობს მოქმედება თავისთავად გამოთიშული გარემოდან და ჩვენი მორალური წარმოდგენებიდან, ამიტომ ზრუნავდნენ ერისკაცები მორალურ წარმოდგენათა დაწმენდასა და გარეგნურებაზე.

საზოგადო ჭირი ნათლად აჩენდა ენის, მამულის ცხოვრება-განვითარების ეტაპს. ამასთან, სარწმუნოების დაცვა ქართველობის დაცვას ნიშნავდა. ყოველივეს ერობლიობა ქმნიდა ცხოვრების გზას, რომლითაც ერიც და ქვეყანაც შემოქმედთან მიდიოდა.

კიდევ კარგი, რომ მეხსიერება ინახავს მხოლოდ საუკეთესოს. "რომელი შემომიდგეს მე, არა ვილოდეს ბნელსა შინა, არამედ აქვდეს ცხოვრება საუკუნო" - ამბობს უფალი - ალბათ, ღირს აღნიშნულზე დაფიქრება ყველა დროსა და რეალობაში.

ათას მეერთედ მახსენდება 1989 წლის 9 აპრილი, თალხში გახვეული დედაქალაქი, დარბევის შემდეგ მოძებნილი მეგობრების ხმის გაგონების სიხარული და შეგრძნება იმისა, რომ ყველას (ან გნებავთ პატრიოტებს!) ერთი საფიქრალი გვქონდა.

ბევრი ომის მხანველ ქართველებს ხან მტერი ატყუებს, ხან "მოყვარე" და თუ თავისუფლება მარადიული ბრძოლაა დამოუკიდებელ ქვეყანაში აღარ გვაქვს უფლება ვერ გავუძლოთ თავისუფლების სიმძიმეს (მედროვეები ნუ გამოგვეხმაურებიან!).

ნანა მერებაშვილი.

ბრინიანი სივრცით - ბარიზორიული დაგეგმვის შესახებ

გრძელდება საქართველოს მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული ტრენინგების პროგრამა, რომელიც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო

გეგმვის შემუშავებას შემუშავების შემუშავებას. პროექტის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტში გაიმართა სივრცით - ტერიტორიული დაგეგმვის კლასტერ სწავლების მე-8 ტრენინგი. ტრენინგს უძღვებოდა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სწავლების ექსპერტი თამარ სიმონიძე.



სამოყვარულო ლიგის ჩემპიონატი კალათბურთში

ზაზა ფაჩულიას ოცავს გუნდს გამარჯვებულს და წარმატებებს უსურვებს მომავალ მატჩებშიც. ლიგის ჩემპიონატი კალათბურთში. ჩემპიონატში მონაწილეობს 8 გუნდი - მათ შორის კასპის გუნდი "კასპერსი", რომელმაც პირველი შეხვედრა უკვე ჩაატარა და დიდი ანგარიშით 70 : 27 მოუგო "კავკასუს მოტორს"-ს. კასპის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ულ-

ლიცავეს გუნდს გამარჯვებულს და წარმატებებს უსურვებს მომავალ მატჩებშიც. თავის მხრივ "კასპერსი"-ს წევრები მადლობას უხდებიან კასპის მერიას, სს "კასპი-იელექტროაპარატს", სს "ნატურალპროდუქტ"-ს, შპს "თი-ემ-თი"-ს და შპს "კეფალ"-ს, რომლებმაც გუნდი დააფინანსეს და მათ ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ.



ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც საქართველოში 1820-იან წლებში იმოგზაურა, მარდენის მსგავსად, ქართველებს ადამიანის მოდგმის ნიშნად მიიჩნევდა. მისი აზრით, ქართველები მეტად ლამაზები, გონიერები და თავაზიანები არიან.

იტალიელი მისიონერის დონ ჯუზეპე მილანელის დახასიათებით კი, ქვეყანა და განსაკუთრებით ქალები მეტისმეტად ლამაზები. ამ მხარეში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყანაში, დიდი თავშეკავებაა საჭირო, რომ ცდუნებაში არ ჩავარდეს კაცი.

ბ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტეხსო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
ბ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეხისჯათა მონახელები საქართველოს ცხოვრების ჰეხსუქტივაზე?
გამოიჩეხეთ „ახალი განთიადი,,

ქართლ-ქახეთი ...

ისეთი ლამაზი და საამო საყურებელი იყო ჩვენი ბაღის ეზო-მიდამო, რომ მარტო ბავშვები კი არა, მშობლებიც ტკბებოდნენ შემოდგომის ფერებით, აქ წარმოდგენილი იყო იმ-იტირებული, საშემოდგომოდ მორთული საქართველოს სხვადასხვა კუთხე... ამდენად, ტრადიციული საშემოდგომო აქტივობა – "ოქროსფერი შემოდგომა" კასპის №5-ე საბავშვო ბაგა-ბაღში ღია ცისქვეშ ჩატარდა და ამ პროექტის ავტორი განლდათ ჩვენი გამგე ქალბატონი ლალი მღლაძე, რომელსაც მთელი კოლექტივი ესმარებოდა. მოკლედ, აღშრდლებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა, ბაღის მთელმა პერსონალმა ძალიან მონდომეს, რომ ღონისძიება ორგანიზებული და დასამასხოვრებული გამოსულიყო, რაც მთავარია, ყველას დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ბავშვების შესადლებლობები მაქსიმალურად გამოჩენილიყო...

დაშვილი/ გოგო-ბიჭებმა წარმოდგინეს ხილითა და



3-4 წლიანი ჯგუფის ბავშვებმა / აღმზრდელი მათა მალაფერიძე, ძიძა მარეზ მაჭარაშვილი /ულამაზეს კახეთში "მიგვიპატიეს", უნდა გენახათ კახელი კოლორიტები, საქვეყნოდ ცნობილი "მარო და მიტო", რომელთა როლებს ასრულებდნენ ელენე მარქარაშვილი და ლაშა ჯანელიძე. ლექსის თქმასა და ცეკვაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ნიკა მელაძე და ნიკა ბერიძე, მარიამ ტალახაძე, დები: ანა და ნათია სამხარაძეები, სადღეგრძელოს წარმომთქმით ყველა მოხიბლა ილია აბუაშვილმა.

ბოსტნეულით დახუნძლული ტიპიური ქართლური სოფელი... ლამაზად მოწყობილ, გემოვნებით დამშვენებულ ქართლურ კარმიდამოზე გამართულ ლხინს ბოლო არ უჩანდა, აქ მოწვეულ სტუმრებს თავი მოაწონეს ქართული ცეკვით ია ხარაზიშვილმა და ლუკა ბერიანიძემ, ლექსები საშობლოსა და მშვიდობაზე წაიკითხეს სალომე ბერიძემ და თეკლა მაჭარაშვილმა, ანანო კურტანიძემ და ნინო ზაქარაშვილმა, ლიზი წიკლაურმა.

აგრეთვე პატარების მიერ დადგმული პატარა წარმოდგენა აჭარელი გლეხის ოჯახზე, ასახიერებდნენ: რატი ქარქუსაშვილი და ნინო ნატროშვილი, ლექსები წაიკითხეს გიორგი ღვინიაშვილმა, ქეთი ბურდულაძე, გიორგი ტატუნაშვილმა, ბარბარე ჯიქურმა და ზუკა კობაიძემ.

ელდახელო რიგიც გაიმართა ახლადამოვლენილი ჩურჩხელის მისაღებად, ბავშვებს თავს ევლებოდნენ აქტივობის ორგანიზატორები: აღმზრდელი მაია მალაფერიძე, მუსიკის მასწავლებელი ელენე ხორგუაშვილი, ფსიქოლოგი ელენე ხეჩუაშვილი, ლოგოპედები თიკო გაბოძე, თამუნა ფარეშიშვილი და ია ხარაზიშვილი, მედია მარინა ზაგრადაშვილი... აქტივობის მონაწილე აღსაზრდელს, მათ მშობლებს, ბაღის ადმინისტრაციულ პერსონალს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, რომელმაც დადებითად შეაფასა საშემოდგომო აქტივობა და სამომავლო წარმატებები უსურვა, ღონისძიებას სტუმრობდნენ: გაერთიანების სპეციალისტები ნია ჯუხარიძე, მაია მაზმიშვილი და ნათია მოსიაშვილი.

5 - წლიანი ჯგუფის /აღმზრდელი მთამარ ნიპარიშვილი და მაია ბაიდაური, ძიძა დინარა ქავთარაძე, ღია მარი-

6- წლიანების ჯგუფის /აღმზრდელი თინათინ თინიკაშვილი და ნანა ჯამალაშვილი, ძიძა ოლია ბერიძე/ ბავშვებმა მზიურ აჭარაში გვაგოზხაურეს. გიდის როლები მოირგეს ბარბარე ქავთარაძემ და ანანო ქსოვრელმა, სხვათა შორის, "აჭარელმა გოგონებმა" მინი სპექტაკლიც გაითამაშეს და სტუმარ-მასპინძელი ძალიან მოხიბლეს. აჭარაში მოგზაურობა "აჭარული ცეკვის" გარეშე ხომ არ იქნებოდა, ჰოდა, აქაც მშვენივრად გაართვეს თავი დავალებ-

დაბოლო ს, ღონისძიების კულმინაცია გახლდათ ჩურჩხელების ამოვლების ხალისიანი სანახაობა. უეცრად, ბაგა-

წელიწადის ოთხივე დრო თავისებურად ლამაზია, მაგრამ შემოდგომას თავისი განუმეორებელი ფერებითა და სილამაზით, სიუხვითა და ბარაქით ვერც ერთი შეედრება. სხვათა შორის, ამის შესახებ ჩვენს აღსაზრდელსაც ვესაუბრებით და გასაგებად აუუხსნით ხოლმე... ახლაც ასე მოხდა კასპის №3 ბაგა-ბაღში /გამგე თეა ქუტაშვილი/, როდესაც გადაწყვიტეთ საშემოდგომო აქ-

ტივობის ჩატარება. ღონისძიების დაგეგმვასა და მომზადებაში ყველა იყო ჩართული და რასაკვირველია, ყველაფერი ლამაზად, ორგანიზებულად ჩატარდა, თვალს ვერ მოაცილებდით ჩვენი ბაღის ლამაზად მორთულ დარბაზს, სადაც შეიკრიბნენ აღსაზრდელის მშობლები და მოწვეული სტუმრები.

პირველები სტუმრების წინაშე გამოვიდნენ 4-5 წლიანი ჯგუფის /პედაგოგი ლ. აფციაური/ ბავშვები, რომლებმაც ძალიან მოილხინეს და თავიანთი საზეიმო განწყობა გადასცეს მათ. სიმღერები და ცეკვები, წაიკითხეს შემოდგომის თემაზე შექმნილი ლექსები. პატარა

აღსაზრდელისათვის ყველაზე შთაბეჭდავი იყო ჩურჩხელების დავლების პროცესი, ყველა მზიარულობდა, იღებდნენ სამახსოვრო ფოტოებს. საერთო განწყობას არც 3-4 წლიანი ჯგუფის /პედაგოგი მ. მალაფერიძე/ ბავშვები ჩამორჩნენ და ყველას ყურადღება მიიქცევს სახელდახელოდ

ოქროსფერი შემოდგომა 2018

აღსაზრდელთა შესაქმნობაში აქტივობაზე გამოჩნდა

როგორც სხვა დროს, ნებისმიერი აქტივობის მომზადებისას, ახლაც წინასწარ განვიხილეთ შემხვედრი ნაბიჯები, განაწილეთ დავალები, ჩავრთეთ მშობლები, ერთი სიტყვით, ყველაფერი გავითვალისწინეთ, რომ საჩვენებელი აქტივობა ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებულიყო ჩვენი ბაღის ლამაზად მორთულ დარბაზში. პირველი გამოსვლა ჰქონდათ 4-5 წლიანი ჯგუფის ბავშვებს, მათმა აღმზრდელმა მ. მიჩიტაშვილმა სრულიად განსხვავებული, შემოდგომისთვის შესაფერისი პროგრამით გამოიყვანა აღსაზრდელი, რომლებმაც ლექსებსა და პატარ-პატარა სცენარებში გააცოცხლეს ზღაპრების გმირები, იმდერეს ფორტეპიანოს თანხლებით, ბოლოში დაავლებული ჩურჩხელებიც დააგემოვნეს... უფრო მასშტაბური და ხალისიანი აღმჩნდა საშემოდგომო ღონისძიება 5-6 წლიანი ჯგუფის ბავშვებში /აღმზრდელი ლ. ბაიდაური/, რომელთა საშემოდგომო წარმოდგენას ესწრებოდნენ მშობლები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები. ბავშვებს ეცვათ შემოდგომის სეზონისთვის შესაფერისი ხალისსა და სასიხარულო განწყობას უქმნიდა პატარებს, ბავშვები თამამად, უფრო გაბედულად გამოდიოდნენ მათგანების წინაშე, საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ ეს

5-6 წლიანი ჯგუფი არის სასკოლო ასაკის და ბუნებრივია, აღსაზრდელმა სრულად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობანი, მაგალითად, ნათლად გამოიკვეთა, რომ მათ იციან ძირითადი და შერეული ფერები, წარმოდგინეს ცეკვები, ფლობენ მუსიკალურ ბგერათა აღქმას, თავისუფლად შეუძლიათ იმდემორთულ დარბაზში. ტონალობაში, აგრეთვე გუნდური შესრულებით, შეუძლიათ თვალეხახვეულებმა სხვადასხვა ხილი გამოიციონ ხელის შეხებით და დაგემოვნებით. აღიქვამენ ბგერათა რაოდენობას სიტყვებში. აქტივობის ბოლო აკორდი გახლდათ თათარის მოდულა და ჩურჩხელების დავლება, ეს ხომ ყველასათვის სანეტარო საყურებელია... საშემოდგომო ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი და გაერთიანების სპეციალისტები: მაია მაზმიშვილი, ნათია მოსიაშვილი, ნინო ჯუხარიძე. შემოდგომის დასრულებას თავისებურად გამოეხმაურნენ 3-4 წლიანი ჯგუფის /აღმზრდელი ლ. აბრამიშვილი/ ბავშვებიც, რომლებმაც შეძლებისდაგვარად გამოავლინეს ის შესაძლებლობები, რაც მოეთხოვებოდათ პატარა ასაკის ბავშვებს. სოფო როინიშვილი, დოესის საბავშვო ბაღის გამგე.

საკრალური დამოკიდებულება საქართველოსა და წარსულისადმი ...

წარსული_მიწა_წინაპრები

ებრაელთა და ბერძენთა მსგავსად, ქართველსაც “ბებერ ერს” უწოდებენ. საკუთარ ნიდაგთან მიჯაჭვულობა, ისევე, როგორც მრავალი ერის შვილებისათვის, ქართველთათვისაც მტკივნეულად ორგანული და მუდმივად თანამდევითვისებაა.

ათასწლეულებამოვლილმა გენეტიკურმა მენსიერებამ, ნიდაგა და ადამიანს შორის, აუხსნელი, თითქმის ტრაგიკული მგრძობელობით აღბეჭდილი კავშირი ჩამოაყალიბა. იმ ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ერი ატარებდა, სწორედ ამ ადგილთან, ამ საცხოვრისთანაა შერწყმული; ამიტომ წარსული – წინაპრები – მიწა ერთიან, სათაყვანო სუბსტანციად შეიკრა.

ადგილი, სადაც დღეს ქართველები სახლობენ, ქრისტემდე მრავალი საუკუნით ადრე ყოფილა პროტოქართული ტომების სამშობლო. ამ ოდინდელი კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში, ხან ერთი ქართული ტომი მძლავრობდა და დაწინაურდებოდა, ხან – მეორე. იმ ტომების სახელები (ისინი დღესაც შემორჩენილია სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ ქართველთა წარმომავლობისა და ტოპონიმების აღსანიშნავად), რომლებიც ასურეთის მახლობლად ცხოვრობდნენ, უძველეს ასურულ წყაროებშია შენახული. ხოლო ზოგიერთი ტომისა, უფრო კი მათი, ვინც შავი ზღვის ნაპირას სახლობდნენ, ბერძნულ წყაროებსა და მითოსში გვხვდება. მრავალი ცნობა აღმოჩნდა მოსეს ხუთწიგნულშიც.

ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე კლასობრივ გაერთიანებებზე დაყრდნობილი ადრეული სახელმწიფო წარმონაქმნები – დიაუხი და კოლხა ჯერ კიდევ მითოსური საბერძენეთის დროს შესაშური კულტურული სიბრძნის მატარებელ ადამიანთა სამშობლო ყოფილა. სწორედ ოქროს საწყობისის ჯადოსნური ძალისა და ინციაციური ცოდნების დასაუფლებლად ჩამოვიდნენ აქ ინტელექტუალი ბერძნები. კოლხ-

ები ანუ კასკაია, ასურულ ლურსმულ წარწერებშიც იხსენიება და ბერძნულ წყაროებშიც. უფრო აღმოსავლეთით მცხოვრები, ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომი – მესხები, იგივე “მუსკები”, საკმაოდ მძლავრი, საბრძოლო ხელოვნებაში ერთობ გაწაფული და გულადი ხალხი ყოფილა. ალბათ, ძალზე ძლიერნიც, რადგან წარმატებულ დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ.



ლაშარის წინააღმდეგ ბრძოლა

სწორედ ისინი არიან ყველაზე უწინ მოხსენიებული ძვ. წელთაღრიცხვის 1100 წლით დათარიღებულ ასურულ წარწერაში, სადაც ტიგლათ-პილესარ I გვიამბობს, რომ მისი ხელმწიფობის უკვე 20000 მუსკი და მათი ხუთი მეფე, რომელნიც ბრძოლის ველზე ჯერ ვერცერთ მეფეს ვერ დაემარცხებინა, კუმუხში ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრესო.” ეს მესხები, იგივე მასხები, მოსეს I წიგნში მეშეხად არიან წოდებულნი. მათს უშუალო შთამომავლებს დღესაც მესხები ჰქვიათ და, შემორჩენილია კუთხის აღმნიშვნელი ტოპონიმებიც – მესხეთი. ეს ტომები მრავალ მეცნიერს ქართველთა და აფხაზთა საერთო წინაპრებად მიანიან. აფხაზთა ძველი სახელწოდება ა-ბასხი სწორედ მასხის ასიმილირებული ვარიანტია, რადგან აფხაზურში “ა” მხოლოდღა წინსართია. სხვა ქართული

ტომის ტაბალის (იგივე ტუბალი ან თობალი) შესახებ, ასურეთის უძლიერესი მეფის სალმანასარ II (860-825) წარწერაშია ნათქვამი: “ქორონიკონსა მეფობისა ჩვენისასა ოცდამეორესა, მეოცდაერთჯერ ევფრატი გადავიარე და ჩავედი ტაბალად. ტაბალის ოცდაოთხი მეფისაგან საჩუქრები მივიღე”. ასურულ წყაროებში ტაბალები და მუსკები ხშირად

ერთად არიან მოხსენიებული. ასევე ერთად, როგორც ივანე ჯავახიშვილი ამბობს, “ტყუად” სახელდებიან შესაქმეს წიგნებში. ჰეროდოტეს “ისტორიაშიც” ჩანს, რომ მესხები და ტიბარელები მეზობლები ყოფილან. ისევე ფლავიუსის ცნობით, სწორედ ტაბალიდან წამოვიდა სიტყვა ტიბერი, შემდგომში “ტიბერი” და იბერიაც – საქართველოს მეორე ძველი სახელი.

ასევე ბერძნულ წყაროებში იხსენიებიან მაკრონები, ანუ მეგრელები. ევსტათი თესლონიკელი ამბობს, რომ ჩვენ მათ ახლა სანებს, ანუ, მდებარე, ტანებს ვეძახითო. სწორედ “ტმანიდან” მოდის სამეგრელოს შესატყვისი უძველესი ტოპონიმი “ჭანეთი”.

ბიბლიის მრავალი მკვლევარის აზრით, შესაქმეში შენახულია ცნობები და პატარა-პატარა თქმულებები სხვა-

დასხვა ტომების, მათ შორის, რამდენიმე ქართული ტომის შესახებ. ისინი თვლიან, რომ ტაბალები, იგივე იბერები ანუ ქართველები, ბიბლიური ტუბალ-კანის (შესაქმეში მოცემული ერთი შტოს მიხედვით), ან ნოეს შვილიშვილის, იაფეტის ვაჟის – ტუბალის (მეორე შტოს მიხედვით) შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ.

ტაბალის ქვეყანა ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ზემოხსენებული სალმანასარის ტექსტის მიხედვით, მას 25 ტაბალები მეფე აძლევ-



თუ-ელს, ანუ ქართველს და შემდგომში ქვეყნის სახელს – ქართლსა და სა-ქართუ-ელ-ოს. შუა ბრინჯაოს ხანიდან (III-ათასწ. დასასრ. და II ათასწლეულის I ნახევარი) უძველესი ქართული ფუძეენა უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო (სვანურ, მეგრულ-ჭანურ, ქართულ და აფხაზურ ენებად).

ქართული ტომების გაერთიანება და ქართულის ისევ სახელმწიფო ენად გავრცელება “ქართლის ცხოვრების” ცნობით ძვ. წ. IV საუკუნეში მხოლოდ დიდ მეფე ფარნავაზმა შეძლო (“ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა.”)

ამ დროიდან ვიდრე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე (ჩვ. წ. IV ს.) ქართული ენა მკვიდრდებოდა და მძლავრდებოდა. ეს ენა და დამწერლობა, რომელიც ერთ-ერთი მსოფლიოში არსებულ 14 ორიგინალურ დამწერლობას შორის, იქცა ქრისტიანული საქართველოს ენად. სახარების მიხედვით ხომ სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ მარიამ ღვთისმშობელი სწორედ ქართულად ამეტყველდა. ქართველები თავიანთ მიწას წმიდა ქალწულის წილხვედრად თვლიან.

მიწის სიწმინდესთან მიმართებაში შეიძლება კიდევ ერთი ისტორიული პარადიგმა მოვიხმოთ: მეცნიერთა საგულისხმო მოსაზრებები არსებობს ბიბლიური ურ-კაშდემის თაობაზე, სადაც მამამთავარი ანუ

პატრიარქი აბრაამი ცხოვრობდა. ბევრ მკვლევარს შესაძლებლად მიჩნია, რომ ეს იყო ადგილი, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა; ე.ი. “ურ” ურარტუს ნიშნავს, კაშდემ კი, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ასიმილაციის შედეგად მიღებულ ქართივ-ს (“ივ” მრავლობითის ნიშანია) – ქართველი ტომების სადოსახლოს. თუ ეს მოსაზრებები სწორია, მაშინ, გამოდის რომ წმინდა აბრაამის საცხოვრისი სწორედ ურარტუს ქართების ტერიტორია ყოფილა. იქნებ, ზემოთხსენებული და კიდევ მრავალი მიზეზი განაპირობებს ქართველების საკრალურ დამოკიდებულებას საკუთარი მიწისა და წარსულისადმი. თვით ქართული მიწა ხომ წმინდა ნივთიერებასთან არის გაიგივებული. უცხოეთში ნებით თუ იძულებით გადასვნილ ქართველებს მუდამ თან დაჰქონდათ საქართველოდან წაღებული დამოკრული მიწა და თუ უკან ვერ დაბრუნდებოდნენ, შთამომავლებს უბარებდნენ, რომ გარდაცვალებების შემდეგ გულზე “სამშობლო” მოეხინათ.

არსებობს ერთი, ამ კუთხით ნიშანდობლივი ქართული ზღაპარი “მიწა თავისას მოითხოვს”, რომლის მთავარი გმირი, ჯერაც უწვრთნელი ჭაბუკი ისეთი ქვეყნის საძებნელად მიემშურება, სადაც სიკვდილი არ არის. სხვა განზომილებაში, დროისა და სივრცის გარეთ გაჭრილი პერსონაჟი ბედნიერებას პოულობს, მაგრამ ურ-კაშდემის თაობაზე, სადაც მამამთავარი ანუ

დასასრული გვ-9.

მონაწირები ქსნის ხეობა



რა დანიშნულება აქვს ჩვენს ცხოვრებაში ხელოვნებას? რომ არა ფილმები, სპექტაკლები, მხატვრული ტილოები და სხვა ხელოვნების პროდუქტი, ალბათ, სამყარო ბევრად მოსაწყენი იქნებოდა. მათ შეუძლიათ შეცვალონ ჩვენი დღე პოზიტივით ან ნეგატივით. კომედია კარგ განწყობაზე გვაყენებს, დრამა სევდას გვგვრის, ტრაგედია აღშფოთებას და სიბრაულს იწვევს ჩვენში.

ხელოვნების ზემოქმედებით კათარზის კრიტიკისა და კამათის საგანია და მისი ეფექტურობის შესახებ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები დღესაც აქტიურად განიხილება.

შეხედულებებს შორის განსვლა ძირითადად ეფუძნება იმას, თუ რამდენად არის კათარზისი აქტიური ან პასიური პროცესი. განსხვავებულ შეხედულებებს მივყავართ განსხვავებულ განმარტებამდე. მიუხედავად ამ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებისა, მას მაინც უამრავი მიმდევარი ჰყავს, თუმცა მხოლოდ ემოციური განმუხტვა სხვა ცვლადების არ არსებობის გარეშე, არ განიხილება, როგორც თერაპიული ეფექტის მქონე.

კათარზისი ბერძნული წარმოშობისაა და განწმენდას ნიშნავს.

თავდაპირველად ტიპიური რელიგიური ტერმინი შემდგომში გამოიყენეს პითაგორელებმა, პლატონმა და არისტოტელემ. აღნიშნავს ვნებათა გადაღახვას ხელოვნების მეშვეობით, მათი გამოხატვის შედეგად. ამჟამად კათარზისზე საუბრობენ არა მხოლოდ ხელოვნებასთან, არამედ ასევე ესთეტიკასა და ფსიქოანალიზთან დაკავშირებითაც.

მომქანცველი ყოველდღიურობა არც ისე იშვიათად (სამწუხაროდ!) გვაიწვევს მთავარს - ვეძებთ ჩვენი არსებობის დანიშნულებას. საშოვარს გადაგებულ საბაზრო ეკონომიკის სინამდვილე ხელიდან გვაცლის კათარზისის უმნიშვნელოვანეს ბედნიერებას - ვიყით გულიანი, თბილი, კაცთმოყვარე, ერთი სიტყვით, მოყვასი, რომ უნდა გვიყვარდეს, პატიოსნების ძნელადსავალ ბილიკზე არ მოვიწყინოთ, ან სულაც, არ დავკარგოთ ერთმანე-

თი. იორამ იმედაშვილი მაშინ გახდა სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტი სხვანი და სხვანი მერკანტილურ ოცნებებს რომ წირავდნენ ახალგაზრდობას. მაღიან პრესტიჟული კი იყო იქ სწავლა, მაგრამ ეს ერთგვარი განაცხადი იყო არა მაძღარი, მაგრამ სულიერი ცხოვრების პერსპექტივისა.

ჩვენს ქალაქში ყოველ გამოფენაზე მისი მოსაზრების გასაცნობიერებლად და გასაზიარებლად მივდივართ ყველა ის ვინც ათწლეულებია ვალი-არეთ, რომ ის ჩვენი ქალაქის გამორჩეული, განათლებული, საინტერესო მხატვარია. ყოველი ახალი შეხვედრა ამტკიცებს, რომ მისგან ბევრი შეიძლება ისწავლო.

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა კასპელი პროფესიონალი ფერმწერის, იორამ იმედაშვილის ნახატების პერსონალური გამოფენა.

ამჯერად წარმოდგენილია მხატვრის 25 ფერწერული ტილო სერიიდან "ქსნის ხეობის კულტურული ძეგლები": მაგალითად, - "ქსნის ციხე", "საქადგიანის წმინდა დემეტრე", "ლამისყანა", "ოძისის ღვთისმშობელი", "იკოთის მუხრანბატონის ციხე", "წისკვილის ციხე", "ლარგვისის წმინდა თევდორე", "ლევანდა - ყელის ტბა", "წირი", "ქოლითის ციხე", "თეზის წმინდა გიორგი".

იორამ იმედაშვილის მორიგი შეხვედრა დამთავლიერებელთან ისევ საგულისხმო აღმოჩნდა. ტილოთა ფერწერულ ღირებულებასაც რომ არაფერი ვთქვათ, მხატვარი ჩვენთან ერთად იხსენებს აწ უკვე ოკუპირებულ მხარეს, იქ დარჩენილ ტაძრებს, შემოდგომას, ზაფხულს... როცა ეს ტილოები იქმნებოდა, მხოლოდ მისანს თუ ეცოდინებოდა, როგორ მოგვენატრებოდა იქაურობა... ზემოთ შემთხვევით არ ვახსენეთ კათარზისი - ვნებათა გადაღახვა ხელოვნების მეშვეობით, იქნებ მობრუნდა დრო თავი დაეღწიოთ ცრუ პოლიტიკურ ვნებებს, გულში ჩავიხედოთ და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მონატრებული ქსნის ხეობა.

ბ. ხატიძე.

მისი არსებობა კასპის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ლეგენდარული მასწავლებლის ანიკო ემგვერადის ნათქვამმა დამაფიქსირებინა - "დიდებული მოსწავლეა, ის გამორჩეულია, ჩემი გაგრძელება მგონია, ვიცი თაობის სათქმელს იტყვისო".

ვინც ანიკო ემგვერადის იცნობდა კარგად მოეხსენება, რა ძვირფასი და მნიშვნელოვანია ეს შეფასება, თანაც იმ საბჭოთა დროში როცა "თაობის სათქმელი" კომუნისტური რეალობის ფონზე ძილს უფრთხოვდა იმდროინდელ "ძლიერთა ამა ქვეყნისათა"... მაშინ სამშობლოს გაცხადებული სიყვარულიც დისიდენტთა "პროვოკაცია" იყო.

არ დავიღვლები გამეორებით

ვისაც საკუთარ თავზე არ განუცდია მისაღები გამოცდების სუსხი, ვისაც უნივერსიტეტის მადლი კორპუსში აღუღებამდე თბილი წყლით არ "მოუკლავს" წყურვილი, ვისაც გული არ ჩაჰქანებია ნიშნების გამოცხადების წინ მიკროფონის ჩართვის ხმაზე, სრული სიცხადით ვერ ივრძნობს ქვემოთ ნათქვამის მუხტს. თუმცა, ისიც ფაქტია, ყველა თაობას თავისი რუბიკონი აქვს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას.

სამოცდაათიანი წლების აბიტურიენტებს კარგად მოეხსენებათ, როგორი შიშის ზარს სცემდა ყველას მზექალა შანიძის სახელი. ჰუმანიტართა ქართული ენის კომისიის თავმჯდომარის ვინაობა ყველას პირზე ეკერა და ცნობიერად თუ არაცნობიერად, თავს აუუებდა, რომ საოცნებო "ფრაიდამდე" გზა შესაძლებელია გრძელდებოდა. ეს ამბავი არც თავად ქალბატონი მზექალასათვის იყო დაფარული. აბიტურიენტებამდე კი "სარწმუნო წყაროებს" მიჰქონდათ ინფორმაცია, რომ აკაკი შანიძის ქალიშვილი ერთობ მშვიდად აცხადებდა: "ქართულში "ხუთი" მაძაჩემს ეკუთვნის, მე "ოთხი", აბიტურიენტებს კი ..." აქ ყველა თავისი ფანტაზიის შესაბამისად ინუგეშებდა თავს და იყოფოდა აბიტურიენტთა ცხოვრება მისაღებ გამოცდამდე და შემდეგ...

1975 წლის აგვისტოს ხვატში ჩვენს ქალაქში ერთი მოულოდნელი ამბავი გავრცელდა. კასპის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა მარინა მენაბდიშვილმა ქართულში, ზეპირ გამოცდაში ხუთი მიიღო. მაშინ უმაღლესი შეფასების დაწერის უფლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარეს ჰქონდა და რადგან საზოგადოების უმეტეს ნაწილს ეს ცაცნობიერებული ჰქონდა, ყველა ერთს კითხულობდა - მზექალა შანიძემ 5 დაწერა?

ღიას, ბატონებო დაწერა! თანაც იცოდა რა, რომ ეს

თაობის სათქმელი

ფაქტი უდიდეს გაცხადებას გამოიწვევდა, მარინას უთხრა - წადი და გააგებინე ყველას, რომ მზექალა შანიძემ ხუთის დაწერაც იცისო!

მარინა მენაბდიშვილის ხუთიანი ვის გაუკვირდებოდა, უბრალოდ სინარულს ის აორმაგებდა, რომ იმ მისაღებ გამოცდებზე ასეთი არ მომხდარა. მოსწავლის წარმატება მასწავლებლის დაფასების ერთადერთი უტყუარი საშუალებაა. მასხოვს, მაშინ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები, როგორ შევეყურებოდით ანიკო ემგვერადის. მან კი ჩვეული სიმშვიდით გვითხრა: - "შეუძლებელი არაფერია, იყავით ისეთი, როგორც მარინაა და თქვენც დაგიწერენ ხუთს!"

და მას შემდეგ, ქართულში მეცადინეობის ახალი რეჟიმი დაამკვიდრა, მარინას მიღწევა ახალი ათვლის წერტილი გახდა. ყველა ოცნებობდა მისი "შედეგის" გამოვლენას. გულში კი გვიხაროდა "შეუძლებელი არაფერია!"

დღეა ენის დღე

1977 წლის 7 ოქტომბერს სსრკ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ზოგადი რიტორიკის გარდა, დიდად არაფრით განსხვავდებოდა 1936 წლის კონსტიტუციისაგან, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტებში, სტალინური კონსტიტუციისგან განსხვავებით, ამოიღეს მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსი. შეიქმნა საფრთხე, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს კონსტიტუციიდან ამოიღებდნენ! სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ! ქართველი ახალგაზრდები მოითხოვდნენ ეროვნული ენის უფლებების დაცვას. იმ დღეს საბჭოთა საქართველოში დღეგამაში გატანილი ჩირაღდნებივით გაეწირათ თავი ქართველ ახალგაზრდებს, მათ შორის იყო მარინა მენაბდიშვილი.

მოსკოვი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი ახალგაზრდობის გამირობამ ქართულ ენას კვლავ დაუშველირა სახელმწიფო სტატუსი.

მარინა მასწავლებელი

მარინა მენაბდიშვილის მოსწავლემ ანა გოჭოშვილმა 2005 წელს პირველად ჩატარებულ ეროვნულ გამოცდაზე უმაღლესი 100 ქულა მიიღო.

კიდევ ერთხელ ალაპარაკდა ჩვენი პროვინციული ქალაქი, თუმცა რა ქალაქი, განათლების მინისტრმა ჩვენი რაიონიდან დაიწყო სერტიფიკატების გაცემა, რომ პედაგოგ მარინა მენაბდიშვილისათვის პირადად მიელოცა წარმატება და პრეზიდენტთან შეხვედრაზე მიეწვია.



აქ კომენტარი თითქოს უადგილოა, მაგრამ ამ ჩინებული მასწავლებლის ხასიათის საინტერესო მხარე მინდა გაგაცნოთ. მარინა მენაბდიშვილმა მინისტრს მოახსენა - განსაკუთრებით განარბული არ ვარ, როგორ შეიძლება მშობლიური ენის გამოცდაში მხოლოდ ერთს დაეგროვებინა უმაღლესი ქულაო?! ნოემბერში იუბილარია მარინა მასწავლებელი. არ დავაკონკრეტებ რამდენი თაობა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი გაზარდა, რამდენ შევირდს მოაძებინა საკუთარი შესაძლებლობის ზღვარი, როგორ აუწყო ფენი დროს, ახლა თავად იბარებს გამოცდებს იქ სადაც, ჩვენი თაობის ყველა ოცნება გროვდებოდა...

ეს წერილი, რა თქმა უნდა, მარინა მასწავლებლის უდიდესმა პატივისცემამ და სიყვარულმა დაგვაწერინა, მაგრამ ... კიდევ ერთ რამეზე დაფარვა რომ სჭირდება! ანიკო მას, ძვირფასო და დღემდე სათაყვანებელი, თქვენ, როგორც ყოველთვის, მართალი აღმოჩნდით. ჩვენმა მშობლიურმა სკოლამ აღზარდა დიდებული მოსწავლე, რომელმაც მრავალჯერის გაგვაოცა და გაგვახარა, რომელიც ცხოვრობს სამშობლოს ერთგულებით და სიყვარულით, ეს სიყვარული ჩაკირა ჩვენს შვილებში, შვილიშვილებში, მომავალში.

და კიდევ, უამრავ თანამედროვეს ვიცნობ მათი პატრიოტიზმი სკოლაში ნასწავლ ღირიკას რომ ვერ სცილდება, არც სათქმელად და არც საფიქრალად არ სცალიათ (იქნებ არც იციან ეს რა ხილია?). თაობის სათქმელი ჯერ უნდა ივრძნო, შეიმეცნო და შემდეგ პატიოსნებით, მაღალი მორალით, ცხოვრების წესით დანერგო და შეეხილო სამშობლოს მომავალს.

ძვირფასო მარინა მას. გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს ოჯახში, ბევრ მოსწავლეს! ჩვენს საფიცარ სამშობლოს კი თქვენნაირ ქართველებს ვუსურვებთ!

ნანა მერებაშვილი.

დოკუმენტური პროზა

სიკლიდან:

„რაც რაზინ“ყებით არ იზინციბა..“

1. ათვლის წერტილი* იმ წელს, ქართლში, მოწიფერი მოიყოლა ენკენისთვემ. მტკვრის ხეობაში მოხეთქილმა ზენა ქარმა, ერთობ დიდი შვება მოჰგვარა აგვისტოს ხვატით გათანგულ დაბასა თუ სოფლებს.

ქართან მისი უდიდებულესობა შემოდგომა იდგა.

კასპში, რაიკომის მდივნის კაბინეტში, გვიანობამდე ენთო სინათლე. მაგიდასთან თავდახრილ საღარაძეს ხვალ-ინდელი თათბირის დღის წესრიგი ედო და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა. მოულოდნელად, ოთახში, ცემენტის ქარხნის დირექტორი, ალექსანდრე ქებაძე შემოვიდა და გაცემულ მდივანს, მისალმებისთანავე, გვიან სტუმრობის მიზეზი აუხსნა:

- ქარხანაში შეფერხება მაქვს და, თქვენს კაბინეტში სინათლე რომ დავინახე, ვიფიქრე, იქნებ...

- მოდი, მოდი, იფიქრე, დამეხმარებაო, არა? - სიტყვა შეაწყვეტინა საღარაძემ, ფეხზე წამოუდგა ქებაძეს და სკამი შესთავაზა.

თბილი დახვედრით კმაყოფილმა სტუმარმა, უბის წიგნაკი ამოიღო და ის იყო, ციფრების ენით უნდა აეხსნა, თუ რა რაოდენობის კლინკერი დააკლეს მომწოდებლებმა, რომ მდივანმა შეაჩერა:

- გასაგებია, ალექსანდრე, ყველაფერს მივხედავთ, ახლა კი, თქვენი თანადგომა ძალიან მჭირდება.

ქებაძემ უბის წიგნაკი დახურა და მდივანს მიაჩერდა.

- რას იტყვი, ადგილობრივი გაზეთი რომ გამოკვუშვავთ, ვერ შევძლებთ?

- რატომაც არა, - სახეზე ღიმილმა გადაურბინა ქებაძეს, - აქამდეც რომ გვქონოდა, უფრო მეტი საქმე გაკეთდებოდა.

- მარტო გაზეთი კი არა, - საღარაძემ მაგიდიდან ფურცელი აიღო და ქებაძეს წინ დაუდო, - პედაგოგიური სასწავლებლის გახსნაც გვინდა და ამ დადგენილებების პროექტებს გაეცანი.

პროექტები მართლაც, შთამბეჭდავი იყო.

მეორე დღეს, რაიკომში, თათბირი დათქმულ დროზე დაიწყო და ოქმიც მეტად ლაკონურად დაიწერა.

თათბირზე დადგენილება კი მიიღეს, მაგრამ საქმე წინ ვერ წავიდა. და აი, კვლავ დაიწერა ოქმი 16 კპ (ბ) კასპის რაიკომში მოწვეული თათბირისა, შემდგარი 1931 წლის 1 ოქტომბერს. დაესწრნენ ამხ.

საღარაძე, დიასამიძე, ძამაშვილი, ელიაშვილი, ჯანჯალაშვილი, გალდავა, გიგიტაშვილი, ხუხუა, ბეგიაშვილი, ხიტორია, ჩახვარია, მაჭავარიანი, ბერბერაშვილი, ქებაძე, ხოხაძე, ლაზარაშვილი და მეღაძე.

თათბირზე მოხსენებით კასპის რაიონში ნაბეჭდი გაზეთის გამოშვების შესახებ გამოვიდა საღარაძე.

სამწუხაროდ, ეს მშრალი ოქმი არაფერს გვეუბნება, თუ რა თქვეს მოხსენების ირგვლივ გამართული კამათის მონაწილეებმა, მაგრამ, საკითხი მოიწონეს და დაადგინეს: გამოიყოს სარედაქციო კოლეგია ამხ. საღარაძის, ძამაშვილის, ხუხუას, ქარქაშაძის, გიგიტაშვილის, ბეგიაშვილის, ბერბერაშვილის, მაჭავარიანის და დიასამიძის შემადგენლობით. პასუხისმგებელ მდივანად დროებით



გამოიყოს ამხ. დიასამიძე. ნაბეჭდი გაზეთის გამოშვება პირველ რიგში განისაზღვროს დეკადურად, თვეში სამჯერ.

3. თანხების გამონახვა გაზეთისთვის და სახელწოდების საკითხი დაამუშაოს რედკოლეგია...

შემოდგომა გულუხვად იბერტყავდა კალთებს. ახლად დაარსებულ კოლმეურნეობებში მოსავალს აბინავენდნენ, იკრიფებოდა ხილი და ყურძენი, იღებდნენ სიმინდსა და ბოსტნეულს, პირუტყვისათვის ამარაგებდნენ საკვებს...

რაიკომის მდივნის კაბინეტში მიმსვლელ - მომსვლელი არ ილევოდა. საღარაძემ, იმ დღესაც, ბოლო მოქალაქე გაისტუმრა, ადგა, ფანჯარასთან მივიდა, სარკმელი გააღო და გარეთ გაიხედა, არ ესაძიებოდა მოუწესრიგებელი, ატალახებული ქუჩა...

- ეს ცენტრალური გზაც მისახედა, სოფლის ორლობეს ჰგავს, - გაიფიქრა და მაგიდასთან დაბრუნდა. ის იყო თანაშემწე გამოიძახა, დავალების მისაცემად, რომ კარი გაიღო

და ოთახში სამთავისელი მისა თექეთუმანიძე შემოვიდა.

- ო, ამას ვის ვხედავ, აბა, კომუნარო, დავექი, რამ შეგაწუხა, - სულის მოთქმა არ აცალა საღარაძემ.

- აღარა ვარ კომუნარი, ამხანაგო მდივანო, ჩვეულებრივი კოლმეურნი ვარ, კომუნა შარშან, 16 იანვარს, ჩვენივე სურვილით გავაუქმეთ, როგორც ნადრევი და არა ეფექტური, - მისამ ხელი ჩამოართვა მდივანს და შემოთავაზებულ სკამზე დაჯდა.

- კი, კი, ვიცი, მაგრამ, ისტორიაში მაინც შეხვალ, როგორც სამთავისის კომუნის ერთ-ერთი დამაარსებელი და ორგანიზატორი.


- ეგ წარსულში დარჩა, სხვა ამოცანა გვაქვს, კომუნის მისაკენ მივდივართ და დიდი გარჯა გველის, - მისამ გაბადრული სახე შეანათა მდივანს.

- რაო, რა თქვი? კომუნის მისაკენ არა?! - საღარაძემ, კაბინეტში შემოსულ თანაშემწეს, დიასამიძის გამოძახება დაავალა, ამასთან, 19 ოქტომბრის ბიუროც შეახსენა და გააფრთხილა, რომ რაიკომის

მოწვეული სტუმრები. იგი მომავალი რაიონული გაზეთის სახელწოდებაზე მსჯელობდა და თავის მოსაზრებას უზიარებდა, რომ მას "კომუნისმისაკენ" ერქმეოდა და თუ ვინმეს უკეთესი მოსაზრება ჰქონდა, შეეძლოთ გულახდილად ეთქვათ.



სხვა აზრი არავის 10 დღეში ერთხელ, "პრავდის" ჰქონდა, მდივანს ყველა დაეთანხმებოდა და დღის წესრიგიც აქვე



ჩამოყალიბდა: რაიონული ბეჭდვითი გაზეთის "კომუნისმისაკენ" ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.

დადგენილება მიიღეს და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა დაამტკიცეს. დასახეის ღონისძიებანი: გაზეთების გავრცელების შესახებ კოლექტიური ხელისმწერის შესახებ, წინადადება მისცეს ამხ. მაღალაშვილს დაუყოვნებლივ შეუდგეს ორგმასის განყოფილების გამგის სამუშაოს რაიონული გაზეთის რედაქციაში...

ასე მოინათლა მომავალი რაიონული გაზეთი ამ ოდიოზური, არახატოვანი სახელწოდებით, თუმცა, გასაკვირი არაფერია, იმ წლების იდეოლოგიური ხიბლით დაავადებული ქვეყნის მცხოვრებთ-




ათვის, რამეთუ, სწამდათ და სჯეროდათ, რომ კომუნისმის უთუოდ ააშენებდნენ...

ნეტარ არიან მორწმუნენი...

... დაჩქარდა გაზეთის გამოშვების სამუშაოს. ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებული იყო: გამოვიდოდა



ნახევარი ფორმატის, ოთხგვერდიანი, 3 000 - იანი ტირაჟით.



დახმარებისათვის მიმართეს გაზეთ "კომუნისტი"-ს სტამბას და "შუმის" რედაქციას. დახმარებამაც არ დააყოვნა და აი, 1931 წლის 7 ნოემბერს, "კომუნისტი"-ს სტამბის საბეჭდი დაზვიადან გამოვიდა კასპის რაიონული გაზეთ "კომუნისმისაკენ"-ის პირველი ნომერი, რომელსაც ხელს სარედაქციო კოლეგია აწერდა.

ეს დღე, დასაბამად იქცა ამ პატარა, მაგრამ, დიდ საქმეებს შეჭიდებული ჩვენი გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის ცხოვრებაში.

ნორა ედიშერაშვილი. გაგრძელება იქნება.



ჩემო მინავ!

გურამ კლდიაშვილი

ისე ცოტა მიწა გვაქვს, საყვავილედ არ გვეყოფნის...
ისე ცოტა ზეცა გვაქვს, საფრენად არ გვეყოფნის...
ისე ცოტა ვაზი გვაქვს, საჭაშნიკოდ არ გვეყოფნის...
ისე ცოტა წყალი გვაქვს, დასახრჩობად არ გვეყოფნის...

არა! ჩემო მიწაო, დედასავით მართალო!
არა! ჩემო ზეცაო, რწმენასავით მაღალო!
განა მართლა ცოტა გვაქვს ან მიწა და ან ზეცა,
ჩვენს მისახედ-მოსახედს თვალთაც ვერ დაკეცავ;
უცბად რომ გაგვივადკეს ყველა მთა და მაღლობი,
ზღვარი რომ წაეშალოს დაყოფილს და დაღობილს,
ერთპირად რომ გვაქცია, ფხა გვექნება ქვიტიკირის,
ვერ მოგვდრეკენ ღმერთები, ვერ მოგვკლავდა სიკვდილიც;
ცოტა ნიჭიც რომ მოგვცა ერთმანეთის გატანის,
დასკდებოდა გულები ორგულის და სატანის...

ჩემო მიწათ-მიწაო, უწმინდესო, მართალო!
ჩემო ზეცათ-ზეცაო, ბროლის ხელით ნათალო!
თუ რამ წყენა მიგვიძღვის, დაგვიბრუნე ალერსად,
ცოტა ლაქა მხესაც აქვს, ცოტა ჩრდილი – მთვარესაც.

ვერ აგწონის – დაგწონის რა სიმდიდრეც დაყარონ,
კათედრად გვაქვს მთაწმინდა, დარბაზებად – სამყარო;

თუმც არასდროს ვყოფილვართ ჩვენი თავის პატრონი,
სხვათა სჯულს და სამართალს არასოდეს ვნატრობდით;

თუმც გვიშრობდნენ ცხრაწყაროს, რომ არ გვეხნა,
გვეთესა,
მაგრამ მოწყურებული არ ვყოფილვართ ერთ დღესაც;
გვიძირკვავდნენ ვენახებს – გლეხის გულის თანასწორს,

მაგრამ ღვინონაკლული არ ვყოფილვართ არასდროს;
ტყეს გვიჩენდნენ უსიერს, ოდით ჟამით ჟამამდე,
მანც გვეკონდა ფილტვები დატენილი ჟანგბადით;
რადგან გული ერთისა ას კაცს გულად ეყოფა,
მიტომ სურდათ მოსრესა, მიტომ სურდათ ხელყოფა;
რადგან მზე გვაქვს იმდენი, არ გვეტევა სასლემში,
ჩაღვრილი გვაქვს ქვევრებში, გამჯდარი გვაქვს ძარღვებში...

ჩემო მიწათ-მიწაო, ცოტნესავით მართალო!
ჩემო ზეცათ-ზეცაო, ვარსკვლავით გამთბარო!
თუ გვიბრძანებს ვარძია, თუ გელათი დარეკავს,
დაუმზობელს დაგამზობთ, წაუღეკავს წავლეკავთ,
თუ დაგვჭირდა, ძაფით ნემსის ყუნწში გავეძვრებით,
ფეხს აიდგამს ძეგლები, სულს ჩაიდგამს ტაძრები;
რადგან შენის დედობით სავესენი ვართ ყველამდე,
შენს სიმცირე-სიდიდეს შევმატოდეთ ყველანი!

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ. ნოკებს მუდმივი განცხრომისა და სინორჩის მდგომარეობას, ბრუნდება საკუთარ მიწაზე, რათა იქ ერთბაშად დაბერდეს და მიიცვალოს. ასეთ მისტიკურ დამოკიდებულებას, ალბათ, მიწასთან ნივთიერი კავშირიც განაპირობებს. საგულისხმოა, რომ ათასწლეულების განმავლობაში ქართველ ტომთა უმეტესობა მიწის დამამუშავებელი იყვნენ. ამან განაპირობა ქვეყნის ძველი სახელწოდებაც – გეორგია. ეს ბერძნულენოვანი ტოპონიმი სწორედ

მიწის აღმნიშვნელი სიტყვის გამოხატულებაა. წარსულისა და მიწის გარდა, ქართული ეთნოფსიქიკისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ფენიში წინაპრები და მათი ხსოვნაა. XXI საუკუნეშიც კი ეს დამოკიდებულება ლამის პატრიარქალურია. ჩანს ეს უძველესი, გენეტიკურად განმტკიცებული თვისებაა, რადგან ჯერ კიდევ წარმართობის ფაზს ქართველები წინაპრებს აკერპებდნენ. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ქართლის გამაერთიანებელი მეფე ფარნავაზი სწორედ

წარმართული პანთეონის მრისხანე ღვთაების – არმაზის წინასახე, ღვთაებისა, რომელსაც ყველაზე მეტად ეთაყვანებოდნენ ქართველები. ამგვარი მითოსური დამოკიდებულების ჩანაცვლება ქრისტიანულ მენტალიტეტში წმინდანთა თაყვანისცემით მოხდა. ქრისტიანული და ეროვნული ღვაწლისაკენ მიმართული ხასიათი მრავალ წმინდანს აღიარებს. მაგალითად, “ოქროს ხანის” საქართველოს მეფეთ-მეფე თამარი ისეთი ბრწყინვალე შარავანდედითაა მოცული ჩვენს

ცნობიერებაში, რომ ლამის რეალური პიროვნება აღარ გვგონია. იგივე შეიძლება ითქვას, დავით აღმაშენებელსა და შოთა რუსთაველზე... თუმცა, არაწმინდანი წინაპრების, ხალხური გმირების გაფენიშების მაგალითებიც არსებობს. ეს უფრო მთიან მხარეებშია შემორჩენილი. მაგალითად, ფშავში არსებობს სალოცავი, რომელსაც ლაშარის წმინდა გიორგის, იგივე ლაშარის ჯვარს ეძახიან. ფშავლებს გამორჩეულად ჰყვარებიან ახალგაზრდა, თავისუფლად მოაზროვნე, ტრაგიკული ბედის, ლამ-

საქარაუკუნოვანი დამოკიდებულებას საქართველოში და ნარსულსადაც ...

წარსულში მინაწინაპრები



საუკუნის დიდი და ძლიერი საქართველო ჩაიბარა. ქრისტიანულ სალოცავში უცნაურადაა შერწყმული წმინდა გიორგისა და არაწმინდანი მეფის სათაყვანო და საყვარელი სახეები და ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ იკვრება ქართულ ეთნოფსიქიკაში ღრმად გამჯდარი ტრადია: წარსული – მიწა – წინაპრები.

მ. ყიფშიძე.

გარდაიცვალა ცნობილი პოეტი, დრამატურგი, იუმორისტი, ჟურნალისტი, რედაქტორი, ბატონი გურამ კლდიაშვილი.

გურამ კლდიაშვილი დაიბადა 1929 წლის 7 ივნისს, ზემო სიმონეთში, 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, მუშაობდა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტში, სხვადასხვა თანამდებობებზე, 1965 წლის დეკემბერში დაინიშნა კასპის რაიონული გაზეთის რედაქტორად, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით, 1966 წლის პირველი იანვრიდან აღდგა წლების წინ გაუქმებული გაზეთი „განთიადი“ (დღეს „ახალი განთიადი“).

ბატონი გურამ კლდიაშვილი ქართულ მწერლობაში 60-იანელთა თაობას შემოჰყვა და ღირსეული ადგილიც დაიმკვიდრა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი წიგნები: „წუთისოფელი“, თვალის მიჭირავს შენზედა“, „ნაცნობი

სახეები“ და სხვები, მან ქართული მწერლობის საგანძურში 17-ზე მეტი პოეტური კრებული, მრავალი იუმორისტული და დრამატული ნაწარმოები შეიტანა, მისი პიესები იდგმებოდა მთელ რიგ თეატრებში და მოწონებას იმსახურებდა.

გურამ კლდიაშვილმა 12 წელზე მეტი უხელმძღვანელა კასპის რაიონულ გაზეთს, რომლის ტირაჟი 9-10 ათასზე მეტი გადმოდიოდა საბჭოთა მანქანიდან და ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში, ცხოვრობდა ჩვენი ქალაქის ცხოვრებით, ამშვენებდა და აღამაზებდა ამ პატარა ქალაქს, უყვარდათ და პატივს სცემდნენ. იყო საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით..

წავიდა ჩვენგან არაჩვეულებრივი პიროვნება, კოლორიტული იერსახითა და სიღარბისლით გამორჩეული, განუმეორებელი თამადა, მომლერალი, დეკლამატორი, ერის

გურამ კლდიაშვილი



მოჭირნახულე და მამულიშვილი, წავიდა და თან წაჰყვა ახლობლების, მეგობრების, კოლეგების ტკივილი, სინანული და ცრემლი..

მარადიული ხსოვნა, სანთელი და ნათელი ამ დიდებული მწერლის სპეტაკ სულს. ნორა ედიშერაშვილი.

„განთიადის“ ძაღვი

სილუეტი – საქმიანი და ბოკემური. განა შეიძლება ამ ორის გაერთიანება?! არა და ზუსტად ასეთი დავინახე.

ბატონო გურამ, შეიძლება თქვენ პირადად არ გიცნობდნენ, მაგრამ უმრავლესობა იცნობს თქვენს შემოქმედებას.

როგორი სიყვარულით გიხსენებენ „განთიადელები“. თუ უნდოდათ ნათქვამის სიმართლეს შეუვალა და დემტკიცებინათ ამბობდნენ კლდიაშვილმა თქვაო; და ცნობიერად თუ არაცნობიერად ყველა ახალ რედაქტორს თქვენ გადარებდნენ. აკი უთქვამს თემურ ჟღენტს – “ბედნიერი კაცია გურამ კლდიაშვილი, ნეტა მე თუ მეღირსება ასე თბილად გამიხსენონო?!”

ბატონო გურამ, ძალიან კარგად ვიცი, რას განიცდის რედაქტორი (თანაც პროვინციული გაზეთის); მეტ-ნაკლებად ვგრძნობ, რა სხვაობაა “თქვენსა” და “ჩვენს” დროში. ამიტ-

ომ “ახალი განთიადის” რედაქტორის უფლებით უღრმეს მადლობას მოგახსენებთ გაღებულ შრომისთვის.

ძნელბედობაში, როდესაც რეალობაში, “დარსა და ავდარში” ჩვენ ვერ დაგვაიწყებდა თქვენი დარიგება:

“გული რად გინდა, ლექსი რად გინდა, შენს ხალხზე ფიქრში თუ არ ათენებ, მამულმა ნდობით თუ არ დაგწინდა, ვერ იქართველებ!”
თქვენ იცოდით, რომ სანამ საზოგადოებრივი მოქალაქეობაზე გექნება ფიქრი ჯერ კაცი უნდა იყო, თანაც ვაჟკაცი, მერე ყველაფერი დანარჩენი...

თქვენ იქართველეთ! მადლობა “განთიადისთვის” გათენებული ღამეებისათვის.

ნანა მერებაშვილი.

